ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. მაგისტრატურაში მიღების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ) მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესს.

1.2 თსუ-ს მაგისტრატურაში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

1.3 კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ საგამოცდო ცენტრი.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

2.1. თსუ–ს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს, დიპლომირებულ სპეციალისტებსა და დიპლომირებულ მედიკოსებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 227–ე ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“ განსაზღვრული შემთხვევებისა. *(1.07.2010, №82/2010)*

2.2 საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტების ფორმალური ცნობა (აღიარება) ხდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

3. საბუთების მიღება

3.1 საბუთების მიღების ვადები ყოველ სემესტრში მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტაციული-სამართლებრივი აქტით.

3.2 საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულტეტების მიმღები კომისიები, რომელებსაც ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ რექტორი.

4. საბუთების ნუსხა

4.1 კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიაში წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება თსუ-ს რექტორის სახელზე;
ბ) განაცხადის შევსებული ფორმა;
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;
დ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
ე) სამხედრო ბარათის ასლი;
ვ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ვ[1]) ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ მისთვის ქართული არ არის მშობლიური ენა და სწავლის გაგრძელება სურს ქართულ ენოვან სამაგისტრო პროგრამაზე. *(21.01.2009, №161)*
ზ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამა.

4.2 განაცხადის ფორმას ამტკიცებს თსუ-ს რექტორი.

4.3 კონკურსანტს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

5. მიმღები კომისიის უფლება-მოვალეობები

5.1 მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები ამისათვის დადგენილ ვადებში;
ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სამაგისტრო პოგრამის მოთხოვნებთან;
გ) შეამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
დ) წარმოდგენილი საბუთების სამაგისტრო პოგრამის მოთხოვნებთან და სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დაწეროს შესაბამისი დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს.

6. საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში

6.1 გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით.

6.2 საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.3 სპეციალობის გამოცდაში კონკურსანტთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაიულ-სამართლებრივი აქტით. საგამოცდო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. *(21.01.2009, №161)*

6[1]. საკონკურსო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

6[1].1 საკონკურსო გამოცდაზე სპეციალობაში დაიშვება კონკურსანტი, რომელიც:
ა) დადგენილ ვადებში სრულად წარმოადგენს საბუთებს მიმღებ კომისიასთან;
ბ) წარმოადგენს დოკუმენტებს, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებს;
გ) აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს;
დ) წარმატებით ჩააბარებს ქართული ენის გამოცდას, იმ შემთხვევაში თუ ქართული არ არის მისთვის მშობლიური ენა და სწავლის გაგრძელება სურს ქართულ ენოვან სამაგისტრო პროგრამაზე. *(21.01.2009, №161)*

6.2 გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით.

6.3 საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.4 სპეციალობის გამოცდაში კონკურსანტთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაიულ-სამართლებრივი აქტით. საგამოცდო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

7. საკონკურსო გამოცდა უცხო ენაში

7.1 საკონკურსო გამოცდაზე უცხო ენაში დაიშვება ის კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას სპეციალობაში.

7.2 უცხო ენათა ჩამონათვალი, რომელშიც ჩატარდება საკონკურსო გამოცდა და დადებითი შეფასებისთვის საჭირო დონე განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამით.

7.2[1] საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ბალიანი სისტემით. უცხო ენის გამოცდა გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(1.07.2010, № 82/2010)*

7.3 უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტრებელ სერთიფიკატს (სერთიფიკატების ჩანონათვალი იხ. დანართის სახით), ან/და უცხოეთში არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს.

7.4 უცხო ენის გამოცდის ტესტების მომზადებაზე და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას ახორციელებს თსუ ენების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია უცხო ენაში საკონკურსო გამოცდის შეფასებათა სიზუსტეზე.

8. გამოცდების განრიგი

8.1 გამოცდების განრიგი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. საგამოცდო შედეგების გასაჩივრება

9.1 კონკურსანტი უფლებამოსილია საგამოდო შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში განცხადებით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს ან/და მოითხოვოს გამოცდის შედეგების გადასინჯვა.

9.2 საჩივრების განხილვის მიზნით, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

9.3 საპრეტენზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საგამოცდო კომისიის წევრი ან სამაგისტო პროგრამის ხელმძღვანელი.

10. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

10.1. კონკურსანთა ჩარიცხვა მაგისტრატურაში ხორციელდება საკონკურსო ქულის საფუძველზე. საკონკურსო ქულა გამოითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. მაგისტრანტობის კანდიდატსა და თსუ–ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

10.3 ამ მუხლის 10.2–ე პუნქტით გათვალისწინებული პირების თაობაზე გამოიცემა რექტორის ბრძნება. *(1.07.2010, № 82/2010)*

11. სამაგისტრო პროგრამის ამოქმედება

11.1 სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება, თუ სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადი შემოიტანა და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარა არანაკლებ ხუთმა კონკურსანტმა. ამ წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დაშვებულ იქნეს ფაკულტეტის მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

11.2 თუ სამაგისტრო პროგრამაზე შემოვიდა ხუთზე ნაკლები განაცხადი სამაგისტრო პროგრამა არ გაიხსნება და კონკურსანტებს უფლება ეძლევათ საბუთები გადაიტანონ სხვა სამაგისტრო პროგრამაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იხსნებიან კონკურსიდან.

11.3 თუ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონკურსი გადალახა და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარა ხუთზე ნაკლებმა კონკურსანტმა, მათ უფლება ეძლევათ გადავიდნენ სხვა სამაგისტრო პროგრამაზე ფაკულტეტის ფარგლებში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში.

12. მაგისტრატურის საფასური

12.1 მაგისტრატურაში სწავლა ფასიანია. საფასურის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო წლისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო ტარიფების შესაბამისად.